ლარს პაპი	ჰორსჰოლმი	უკანა ხაზი	188	22.09.67	2	5	0	2	0	2,5
ალან ნაკვი	სკოვბაკენი	ფორვარდი	204	6.09.71	1	2	1	0	0	2,0
ინესპერ სორენსენი	ამაგერი	უკანა ხაზი	185	19.03.77	8	10	3	3	5	1,3
ინეს ვანსენი	სტენესგადე	ცენტრი	203	9.01.76	4	3	8	23	5	0,8
მიკაელ ნივალინგი	უმეო (შვედეთი)	ცენტრი	211	10.01.78	1	0	0	0	0	0
ინეს ლაუსუნდი	სკოვბაკენი	ფორვარდი	201	15.04.77	1	0	0	0	0	0

შვეიცარია პეროპასკებ-2001-ის წინ-საკვალიფიკაციო ტურნირში

პლუზი	სახელი	ს.ბ.	დ.ბ. მ.წ.	მ	ქ	პუნტა	პასი	გაზა	გაზა	გაზა
პაროლდ მარცეპი	ფრიბურგი	უკანა ხაზი	192	17.04.73	6	88	23	16	13	14,7
იგორ გოიანოვიჩი	რენი	ფორვარდი	201	6.01.67	6	81	19	0	3	13,5
პატრიკ კოლარი	ფრიბურგი	უკანა ხაზი	187	11.05.72	6	61	19	14	16	10,2
დავიდ კლემენტი	ფორვარდი	199	3.09.76	6	57	17	2	3	9,5	
ნორბერტ ვალისი	ფორვარდი	200	19.05.71	6	56	20	8	8	9,3	
ნიკოლა კოლარი	ბონკური	ფორვარდი	197	1.05.76	1	6	3	0	2	6,0
რენატო მარტი	უკანა ხაზი	186	6.10.70	6	28	12	8	5	4,7	
მარკ ტიურიტი	ცენტრია	204	17.08.77	4	16	3	1	1	4,0	
ინეს მარცეპი	ფორვარდი	200	5.11.76	5	15	4	1	0	3,0	
პატრიკ ჩარაზა	ცენტრი	204	3.11.77	6	13	26	0	11	2,2	
როჟე ლოკატალი	უკანა ხაზი	186	1.05.74	6	10	7	0	0	1,7	
მარსელ მალინარი	ფორვარდი	195	23.09.69	3	2	1	0	1	0,7	

ირლანდია პეროპასკებ-2001-ის წინ-საკვალიფიკაციო ტურნირში

პლუზი	სახელი	ს.ბ.	დ.ბ. მ.წ.	მ	ქ	პუნტა	პასი	გაზა	გაზა	გაზა
დან კალაჰანი	სასარი (იტალია)	ფორვარდი	203	6.12.70	6	84	68	11	7	14,0
ფრანკ ვაუელი	?	ფორვარდი	200	5.04.71	6	72	31	2	4	12,0
ნილ ფილანი	?	უკანა ხაზი	191	16.09.76	6	63	10	4	7	10,5
მაიკლ რიჩარდსონი	?	ფორვარდი	196	21.12.77	6	61	25	4	7	10,2
ჯონ მკონელი	რუილი (საფრანგეთი)	ფორვარდი	197	5.07.74	6	45	26	10	9	7,5
ბარათ მარკინი	სტარ ოფ სი	უკანა ხაზი	188	23.09.70	6	41	16	8	8	6,8
ჯონ გურკი	?	ცენტრი	215	26.01.71	6	36	25	2	1	6,0
კენ ლინი	?	ცენტრი	205	23.05.78	4	21	11	2	0	5,3
ნევილ ჩარლზი	მარიან დუბლინი	ფორვარდი	195	6.06.73	1	2	1	0	1	2,0
ტიარან კინი	?	უკანა ხაზი	198	8.08.78	3	6	2	0	0	2,0
ჯონ ტიანი	ქილარნი	უკანა ხაზი	186	16.07.71	4	4	1	1	0	1,0
ალან კონლონი	?	ფორვარდი	196	18.04.74	4	1	2	0	0	0,3



სარაბობო ელიტა: ჩვენი თუ უჩვენი?

ამ კითხვას პასუხი, სრულად ან ნაწილობრივ, ერთ კვირაში გაცემას, როცა ქართველ მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში ტონის ნაკრებს დაუპირისპირდება. შეხვედრა კვირას, 28 მარტს გაიმართება. პირველ მატჩში, მოგეხსენებათ, ბორჯღალოსნები 37:6 დამარცხდნენ და ახლა მინიმუმ 32-ქულიანი სხვაობით უნდა მოიგონ, რათა შემდგომ პოლანდია-კორეის შორის გამარჯვებულს დაეჯახნონ. აი, მაშინ გაირკვევა საბოლოოდ ქართველთა მსოფლიო სარა-

ბობო ელიტაში შესვლა-არშესვლის საკითხი. რამდენადაა შესაძლებელი, რომ ქართველებმა სასურველი ანგარიშით დაამარცხონ მეტოქე და მსოფლიო თასს არ დაეშვიდონ? რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ არა შეუძლებელი. ამის იმედი თავად მობურთალებსაც აქვთ და გულშემატივარსაც, რომლის მხარდაჭერის გარეშე ამის გაკეთება კიდევ უფრო გაძნელებულია. მაგრამ არის კიდევ საკითხები, რომელთა გადაჭრითაც შესაძლებელია სავალალო შედეგად მივიყ-

ვანოს. სტადიონის საკითხს ვგულისხმობთ. თამაში რომ ეროვნულზე იქნება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. გასარკვევი ისაა, სად უნდა ივარჯიშოს ნაკრებმა. ეროვნულზე საქართველო-ტონის მატჩის წინა დღეს ანუ შაბათს ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში სლოვენელებს უმასპინძლებს, ამიტომაც ამ დღეს იქ ვარჯიში გაიმორიხებულა, ისევე როგორც პარასკევს, რადგან ამ დღეს ქართველი ფეხბურთელებიც ივარჯიშებენ და

სლოვენელებიც. არის მეორე ვარიანტიც — ლოკომოტივის სტადიონი, მაგრამ ამ საკითხსაც რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან უნდა შეთანხმება. ტონელები თბილისის 24 მატს ესტუმრებიან. იმავე დღეს ჩამოვლენ ქართველი ლეგიონერებიც. რაც მოხვარია, რაგბის ქართველ გულშემატივარებს მატჩზე დასწრება უფასოდ შეეძლებათ. ამის შესახებ გუშინ რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გვეგიძემ გვამცნო. ოღონდ ამის გაკეთება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობა იჯარის ფულს არ მოითხოვს.

აბაბა თოთაძე

306 უპუტავს პოჯიოს?

მიკაელ ბარტოლი ბედისწერას ვერსად გაეცვება. მსოფლიოს კლასიფიკაციით პირველი მბრძოლი, უნდა არ უნდა, მილან — სან რემოს დღეს გასამართი რბოლის უპირველეს ფავორიტადაა მიჩნეული, რბოლისა, რომლის მოგებაც უდიდესი პატივია ნებისმიერი იტალიელი სტევისთვის.

„აქ გამარჯვება ოცნება კი არა, უბრალოდ ამბიციაცა“ — განაცხადა ბარტოლიმ ტირენო-ადრიატიკოს მოგების შემდეგ. მის გარშემო თავმოყრილმა იტალიელებმა ჟურნალისტებმა შეტყუებით გადახედეს ერთმანეთს, როგორ ლაპარაკობს „კლასიკების“ უდიდესი ჩემპიონი „უკლასიკურეს“ მილან-სან რემოზე, რბოლაზე, რომლის მხოლოდ სახელის ხსენებაც იტალიელ ველომბოლებს ჟურნალური უცვლილი? „ბავშვობის მოგონებებში რომ ჩაიხედო, ვნახავ, რომ „ტურ დე ფრანსი“ ანდა ლიევი-ბასტონი-ლიევი კარგად მახსოვს, მილან-სან რემო კი არა. მიუხედავად ამისა, ის ძალიან პრესტიჟულია და მისი მოგება ნამდვილად მსურს“ — ოდნავ გამოაკეთა ადრე ნათქვამი ტონსკანულმა.

ბარტოლი ახლა მშვენიერ ფორმაშია, რაც ტირენო-ადრიატიკოს მიმდინარეობისასც დაამტკიცა, ამასთანავე იგი მსოფლიოს საუკეთესო გუნდ „მაპიოსა“, სადაც მას უდიდეს დახმარებას უწევს ბეტინი ტანი და სხვა ძალიანი კლასის სპორტსმენები, ასე რომ, მსოფლიოს თასის დღეს გასამართი პირველ ეტაპზე ძნელი დასაჯერებელია, მას ვინმე შეეცილოს პირველობას.

„მაპიოს“, რომელმაც 400-ზე მეტი გამარჯვება მოიპოვა ყველა დიდი „კლასიკა“ აქვს მოგებული გარდა... მილან-სან რემოსი. ამის გამო ბარტოლის პასუხისმგებლობა საკუთარი გუნდის მიმართ ერთიორად იზრდება. „გუნდისთვის ძნელია ამ რბოლის გაკონტროლება. შეიძლება ყველაფერი „პოჯიომდე“ გადაწყდეს. თუ არა და მიკელეს კარგი შანსი აქვს, „პოჯიოზე“ სკადოს ჯგუფისგან გაეცევა. თუმცა ამის გაკეთება სხვებსაც შეუძლიათ“ — თქვა „მაპიოს“ სპორტულმა დირექტორმა სერჯო პარსანომ.

და რა არის „პოჯიო“? ასე ჰქვია ფინიშის წინა რამდენიმეკილომეტრიანი აღმართს, რომელზეც მარტოაში ასვლაც გამარჯვების კარგ შანსს იძლევა, თუმცა არა ასპროცენტის? რადგან შემდეგ, დადმართზე ხშირად ყოფილა, რომ ლიდერს პოჯიოები დაუბია. ბარტოლიმ ეს ყველაფერი კარგად იცის და საინტერესოა, წამოიწყებს კი იგი საბოლოო შეტევას „პოჯიოსთან“, თუ საფინიშო სპრინტის იმედზე დარჩება?

ბაიოზ თალაგაძე

ჭამილოსნობა

306-ის იქით 307-ის

ბირთვის კვრაში მსოფლიოს ქალთა ჯერძემა ჩემპიონს, 30 წლის უკრაინელ ვიტა პავლიჩის თვისი სპორტული კარიერის ორი წლით შეწყვეტა მოუწევს. ამის მიზეზი მათგან მულ ექიმთა მიერ მის შარდში აღმოჩენილი აკრძალული პრეპარატის, სტანაზოლოლის მოლეკულები ყოფილა. ეს კი, მოგეხსენებათ, იმას ნიშნავს, რომ — ორი წელი და მეტი ვარდისფერი — განმარტა უკრაინის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ ალექსანდროვმა.

მისივე თქმით, ვიტას თავადვე ულიარებია პრეპარატის მიღების ფაქტს სტანაზოლოლი მას თურმე შარდში, მავანი ტრავმის მკურნალობისას გამო დაუყვარია. მაგრამ როგორც მასზე ალექსანდროვი დასძენს, ასეთ შემთხვევებში სამძლეოსნო სამყაროს წესად ოფიციალური გაფრთხილება და მისთანანი დაუთქვამს. რადგანც ვიტა ასე არ მოქცეულა, ახლა მას მებრძოლში ნაჩვენებ 21,43 მეტრის შედეგსაც გაუუქმებენ და იმ ოქროსაც ჩამოართმევენ ამ შედეგისთვის რომ მიიღო. ხოლო ორწლიან დისკვალიფიკაციაზე ჩვენ უკვე ორჯერ ვთქვით და მესამედ აღარ გავიმეორებთ.

ფრანგებმა თუ ნააბებს...



ორი კვირის წინ ვიქტორი და სავანგეთი უელსს იოლად გაუსწორდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და მანინ საფრანგეთმა ზედიზედ მესამე „დიდი სლემის“ მოპოვების შანსი დაკარგა. დღევანდელი მატჩი ფრანგებისთვის იმ მარცხის დაფიქვების და „ახალი ცხოვრების“ დაწყების მშვენიერი შესაძლებლობაა. მალე ხომ მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება და საჭიროა, მას ფსიქოლოგიურად მომზადებული შეხედნენ ხუთი ერის პირველობაზე ზედიზედ მეორე მარცხი კი სწორედ ამის საპირისპიროს გააკეთებს.

ამისათვის მწვრთნელებმა ტრამპებისა და უხეირო თამაშის გამო „მამლების“ შემადგენლობა საკმაოდ გადაახალისეს. ბერნა-სალი ინგლისთან თადარიგში ყოფნით დაკმაყოფილებულა, მის ადგილს კი მარჯვენა ფრთაზე გარბაჟოზა დაიკავეს. მეორე ფრთა დომინიკი იქნება, ვინც ამ კვირაში მინაურ ჩემპიონატში დამსვენებულ ლომარს შეცვლის. ამ ორი ახალი მორაგბის ხარჯზე, რომლებიც მართლაც მშვენიერ ფორმაში არიან (რისი დასტურიც საფრანგეთის ჩემპიონატის და თასის შეხვედრებში, „მამლების“ დაცვის ხაზიც უფრო მოძლიერდება და შეტევებიც გაცილებით სახიფათო და მრავალფეროვანი იქნება.

ცენტრში ლურთისა და გლასის ტრამპების მიზეზით არყოფნაში ინგლისელებს ნაკრების დებოუტანტები, კომბა და ჟორდანი, ესტუმრებიან და ეცდებიან, უელსთან თამაშისგან განსხვავებით, მეტოქეებს კი არ გამოეღვივონ, არამედ შებოჭონ ისინი.

გაცილებით მეტი ცვლილება მოხდა მარკონების ხაზში. მეორე ხაზი თუ უცვლელი დარჩა, სამაგიეროდ, პირველმა არადადაკმაყოფილებულა მოთამაშე კალიფანო მისიასკლისა. მის ადგილს მარკონე დაიკავეს, რომელიც კლუბშიც და ნაკრებშიც (სადაც ძირითადად მეორე ტაიშიმე გაჰყავდათ მინდორზე) ერთნაირად კარგად ირჯება. მესამე ხაზი კი აბსოლუტურად განსხვავდება უელსთან მატჩისდროინდელი სხვა: მანი ტრამპირებულია, ბენეტონმა და რეინომ მოწინააღმდეგეთა

შეზღუდვისას თავი შეიკავებენ და ამიტომაც ტომა ლიევერმონის გვერდით უფრო და კასტელი იდგებიან. ამასთანავე ლიევერმონმა მარცხნივ გადაიწია და ცენტრში თავისი ადგილი უფრო დაუთმო. ეს წყობა იმას მაფიქრებინებს, რომ მანის დაბრუნების შემდეგ „მამლების“ მესამე ხაზი საბოლოოდ სახეს მიიღებს: ლიევერმონი — უფრო — მანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრანგების ნაკრები აქცენტს ხელით ბურთაობაზე გააკეთებს, სამივე ხომ ამ საქმის დიდოსტატადაა ცნობილი.

ინგლისის ნაკრებში კი ერთადერთი ცვლილებაა — რამდენიმე კვირით მწყობრიდან გამოსული გრეისონის მაგიერად ფრანგებს ქეტი დაუხვდება 10 ნომრად.

შეხვედრის ფავორიტები მასპინძლები არიან და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. 1. საფრანგეთმა ორი უფერული შეხვედრა ჩაატარა (ირლანდიაში 10:9, უელსთან 32:33) და მათ რიგებში აუცილებლად საკუთარი შესაძლებლობებისადმი ეჭვი ჩაიბუღებდა. 2. ინგლისის დიდებული მეორე და მესამე ხაზი ჰყავს, რომლებიც დაცვაშიც ისეთივე ძლიერები არიან, როგორც თავდასხმაში, ამასთანავე თითქმის არ იღლებიან. ეს ხუთი მორაგბე ინგლისის მთავარი თულფია; 3. მასპინძლების დაცვა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა (რასაც ვერ ვიტყვით ფრანგებზე). მხოლოდ გასკოტსა და ვილკინსონს აკლიათ ცოტა შეთამაშება, მაგრამ ეს დიდი ნაკლი არაა. მათი დაცვის სიძლიერე მშვენიერად გამოჩნდა ირლანდიასთან, მანამდე კი საშრეთ აფრიკასთან.

თუმცა ყველაფერ ამასთან ერთად მოგების გარკვეული შანსები ფრანგებსაც აქვთ. სტუმართა შერჩევების პირველი ხაზი ინგლისელებზე ძლიერი ჩანს. თანაც მათ რიგებში ტომა კასტანიედა, რომელმაც ნამდვილად დაიბრუნა თავისი საუკეთესო ფორმა. გარდა ამისა, ნაკრების ახალ წევრებს „მამლებს“ შორის ადგილის დამკვიდრების შანსი მიეცათ და ისინიც, ალბათ, ყველაფერს იღონებენ, რათა მატჩი ძლიერად ჩაატარონ. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ შესაძლებელია ინგლისელებმაც დაუმჯან შეცდომები. მოკლედ, მოგება ორივე გუნდს შეუძლია, თუმცა მე უპირატესობას მინც მასპინძლებს მივანიჭებდი.



ირლანდიელები ტრეგორ ბრენენი (მარცხნივ) და კეიტ ვუდი შოტლანდიელებთან შესაბამელად ემზადებიან

ბაცილმბით ნაკლებ ინტერესს იწვევს შოტლანდია — ირლანდიის შეხვედრა, თუმცა, რა თქმა უნდა, არა ამ ქვეყნებში. კელტი მეზობლების მატჩსაც ძალუმს რაღაც-რაღაცების გადაწყვეტა — სკოტები წარმატების შემთხვევაში ხუთი ერის ტურნირის მოგების თეორიულ შანსს შეინარჩუნებენ, ირლანდიელებს კი 1993 წლის მერე ამ პირველობაზე ერთ სეზონში ორი თამაში აღარ მოუვიათ.

მწვანეებს შოტლანდიელები 1988 წლის იანვრიდან (!) არ დაუმარცხებიათ. ამ პერიოდში მათ მხოლოდ ერთხელ, 1994 წელს მიაღწიეს შინ ფრეს, ყველა დანარჩენ მატჩში კი მარცხი იცემეს. თუმცა დღეისთვის ირლანდიელები წარსულს არად დაგვიდევნ და აუცილებლად მოგების იმედი აქვთ. კაცმა ყოველთვის გამარჯვებაზე უნდა იფიქრო, მაგრამ ინგლისელი ბუკმეიკერებიც რომ ისევე ფიქრობენ, რო-

გორც მათი მეზობელი კუნძულებზე? ეს კი გასაკვირია. სკოტებმა წლებგანდელი ტურნირი შინ უელსთან მშვენიერი მოგებით დაიწყეს. მეორე ტურში კი, რომ არა მათი დამარცხების ლოგანის ნავსინი დღე, იქნებ ინგლისთანაც არ დამარცხებულეყვნენ. ირლანდიელებმა კი უკვე სამჯერ ითამაშეს და მხოლოდ უელსელთა ძლიერ შეძლებს.

გუნდებში სულ თითზე ჩამოსათვლილი ცვლილებები მოხდა. ორივე მეტოქის თავკაცები ამბობენ, რომ მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძობებენ და ქომაგი ლალი ბურთაობით შეაქცევენ. თუ მათი სიტყვები ჭეშმარიტია, მაშინ, მიუხედავად სატურნირო ინტერესის ნაკლებობისა, ამ მატჩის ნახვა საკმაო სიამოვნებას მინიჭებს რაგბის მოყვარულთ.

ბაიოზ თალაგაძე

ლონდონი, „თვიქნები“, 20 მარტი			
0680150			
პერი (15)			
რისი (14)	ვილიკინსონი (13)	გასკოტი (12)	ლაგერი (11)
	ქეტი (10)	ბრეექენი (9)	
ბექი (7)	დალალიო (8)	ჰილი (6)	
	როდბერი (5)	ჯონსონი (4)	
გერფორსი (3)	კოკირილი (2)	ლენარდი (1)	
მარკონე (1)			
	იბანესი (2)	ტურნერი (3)	
	ბრუზე (4)	პელუ (5)	
ტ. ლიევერმონი (6)	უფი (8)	კასტელი (7)	
	კარბონი (9)	კასტანიედი (10)	
დომინიკი (11)	კომბა (12)	ფიორდანი (13)	გარბაჟოზა (14)
	ნტამაკი (15)		
საფრანგეთი			
სათადარიგონი:			
0680150 — ბელი, მათერი, დოუსონი, კორი, არჩერი, უბოგუ, მაკარტი			
საფრანგეთი — ლოსიუკი, ბერნა-სალი, კალიფანო, ოკანი, რეინო, ორადუ, დე რუჟმონი			

ელინბურგი, „მარიფილი“, 20 მარტი			
შოტლანდია			
მეტკალფი (15)			
კ. მიურეი (14)	ტაიტი (13)	ჯ. ლესლი (12)	ლოგანი (11)
	თაუნსენდი (10)	არმსტრონგი (9)	
მ. ლესლი (7)	პეტერსი (8)	უოლტონი (6)	
	გრემსი (5)	ს. მიურეი (4)	
ბარნელი (3)	ბალოქი (2)	სმიტი (1)	
კლოპესი (1)			
	ვუდი (2)	უოლესი (3)	
	ჯონსი (4)	დევიდსონი (5)	
ოკანიგენი (6)	მილერი (8)	უორდი (7)	
	მაკეინესი (9)	ჰამფრიზი (10)	
დემფსი (11)	ბელი (12)	მეგსი (13)	ბიშოპი (14)
	ოში (15)		
ირლანდია			
სათადარიგონი:			
შოტლანდია — ლონგსტაფი, ჩალმერსი, ფერლი, პუნტნი, რიდი, ჰილტონი, ბრაუნსტოუნი			
ირლანდია — ელვუდი, სკელი, კოსტელო, გელვი, ფიცპატრიკი, ნესდეილი, ჰენდერსონი, ბრენენი			

სარბიელი პროკაში

გუმინ აშშ-ის ყველაზე მზიან შტატ ფლორიდაში ATP და WTA ტურნირებს ყველაზე დიდი პირველობა — „ლიბტონი“ დაიწყო (დიდი სლემის ტურნირები ზემოხსენებული ასოციაციებს არ ექვემდებარებიან). 96-96 ქალ-ვაჟი მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ჩაის მწარმოებელი ფირმის სახელით, ალბათ, უკანასკნელად იასპარეზებს, რადგან, როგორც ამბობენ, გაიხიდან ტურნირის ახალი და არანაკლებ ცნობილი მთავარი სპონსორი — „ერიქსონი“ ეყოლება.

„ლიბტონთან“ ერთად ჩოგბურთის სამყაროს გაიხიდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ბორის ბეკერის გამოეხიზება, თუმცა მანამდე იოლ სამიზნედ ყოფნას დიდი გერმანელი არ აპირებს.

ბეკერი უკვე კარგა ხანია, არდადეგებს იქვე, მაიაში ატარებს, მაგრამ თავისი ვილის მეზობლად მდებარე ტურნირზე სხვადასხვა ავადმყოფობების გამო ბოლო სამი სეზონია არ უასპარეზია. ის კი არა, უიმბლდონის სამეზობის ჩემპიონმა აშშ-ში უკანასკნელად 1996-ში ითამაშა, მატჩი კი 1995-ის ამერიკის ლია პირველობის შემდეგ არ მოუვია.

„ეს ტურნირი მთელი დღეიდან გაცივებული იმე დაგვაზარადა, რომ თავს ვაღივებულად ვიგრძობდი, ნაწილობრივ მაინც გამოემყვინა დანაშაული“ — აღნიშნა გერმანელმა, რომელსაც პირველ წრეში იოლი მეტოქე, თავისზე ბევრად უფრო მძიმე იტალიელი ჯან-ლუკა პაოლი ეჯდა.

ჩვეულ შემთხვევაში, თუმცა ძველი დროისავე ერთი დღის სიხარულით მოთამაშე ბორისმა პირველი სეტი მოიგო, მეორე კიდე უფრო სწრაფად დათმო, გადამწყვეტ სეტში კი მსაჯის გადაწყვეტილების გამო კინამდამ თავი დაკარგა. 4:4-ზე მეტოქის მოწოდებაზე გერმანელს ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, როდესაც ერთი შეხედვით ხაზს წაკრული ბურთი გვერდითმა მსაჯმა აუტად ჩაუთვალა. შესაძენეად გაფიცვებული და თავისი წითური თმების ფერად შეფერადებული ბორისი კარგა ხანი ედავა მას, გერმანულადც ბლომად იღანძრა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და, მასურებლებისგან გულმოდგინებით, განრისხებული დაუბრუნდა უკან ხაზს. მეორე კი სწორედ ის მოხდა, რასაც მსაჯის მომენტებში დიდი ჩემპიონებისგან ელის კაცი — გერმანელმა ზედინედ ორი ქულა და ბრეიკი მიითვალა და რამდენიმე წუთში მეტოქეს წირვაც გამოუყვანა 6:4, 6:4.

ზამთრის პირველობის მონაწილეებს დამატებით სტიმულად ისიც ჰქონდათ, რომ პირველ-მეორე ადგილებზე გასულეები შესაბამის ასაკში აღიარებული ვერობის ჩემპიონატების საგზურები ეპატრონებოდნენ. ახლა 14-წლამდელი გოგო-ბიჭები აპრილში ბულგარეთში გაემგზავრებიან, 16-წლამდლები — მაკედონიაში.

ანტონდო სპანიძე

კი ბისკინი, აშშ. ლიბტონის პირველობა. პარდი. საპრიზო 4,75 მილიონი \$

გუმინ აშშ-ის ყველაზე მზიან შტატ ფლორიდაში ATP და WTA ტურნირებს ყველაზე დიდი პირველობა — „ლიბტონი“ დაიწყო (დიდი სლემის ტურნირები ზემოხსენებული ასოციაციებს არ ექვემდებარებიან). 96-96 ქალ-ვაჟი მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ჩაის მწარმოებელი ფირმის სახელით, ალბათ, უკანასკნელად იასპარეზებს, რადგან, როგორც ამბობენ, გაიხიდან ტურნირის ახალი და არანაკლებ ცნობილი მთავარი სპონსორი — „ერიქსონი“ ეყოლება.

„ლიბტონთან“ ერთად ჩოგბურთის სამყაროს გაიხიდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ბორის ბეკერის გამოეხიზება, თუმცა მანამდე იოლ სამიზნედ ყოფნას დიდი გერმანელი არ აპირებს.

ბეკერი უკვე კარგა ხანია, არდადეგებს იქვე, მაიაში ატარებს, მაგრამ თავისი ვილის მეზობლად მდებარე ტურნირზე სხვადასხვა ავადმყოფობების გამო ბოლო სამი სეზონია არ უასპარეზია. ის კი არა, უიმბლდონის სამეზობის ჩემპიონმა აშშ-ში უკანასკნელად 1996-ში ითამაშა, მატჩი კი 1995-ის ამერიკის ლია პირველობის შემდეგ არ მოუვია.

„ეს ტურნირი მთელი დღეიდან გაცივებული იმე დაგვაზარადა, რომ თავს ვაღივებულად ვიგრძობდი, ნაწილობრივ მაინც გამოემყვინა დანაშაული“ — აღნიშნა გერმანელმა, რომელსაც პირველ წრეში იოლი მეტოქე, თავისზე ბევრად უფრო მძიმე იტალიელი ჯან-ლუკა პაოლი ეჯდა.

ჩვეულ შემთხვევაში, თუმცა ძველი დროისავე ერთი დღის სიხარულით მოთამაშე ბორისმა პირველი სეტი მოიგო, მეორე კიდე უფრო სწრაფად დათმო, გადამწყვეტ სეტში კი მსაჯის გადაწყვეტილების გამო კინამდამ თავი დაკარგა. 4:4-ზე მეტოქის მოწოდებაზე გერმანელს ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, როდესაც ერთი შეხედვით ხაზს წაკრული ბურთი გვერდითმა მსაჯმა აუტად ჩაუთვალა. შესაძენეად გაფიცვებული და თავისი წითური თმების ფერად შეფერადებული ბორისი კარგა ხანი ედავა მას, გერმანულადც ბლომად იღანძრა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და, მასურებლებისგან გულმოდგინებით, განრისხებული დაუბრუნდა უკან ხაზს. მეორე კი სწორედ ის მოხდა, რასაც მსაჯის მომენტებში დიდი ჩემპიონებისგან ელის კაცი — გერმანელმა ზედინედ ორი ქულა და ბრეიკი მიითვალა და რამდენიმე წუთში მეტოქეს წირვაც გამოუყვანა 6:4, 6:4.

დაჟა ვიუ ადელაიდურად



ბორის ბეკერმა, აი, ამდენით ავაცილეო...

„რა თქმა უნდა, საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ ჩემთან თამაში ზოგჯერ ახლაც ძნელია. რაც უფრო მეტს ვივარჯიშებ და ვითამაშებ, მით უფრო საშიში ვიქნები. იმედია, ორ დღეშიც არ შევირცხვენ თავს“ — განაცხადა ბეკერმა, რომელსაც მომდევნო წრეში 19 წლის ამომავალ ვარსკვლავ მარტინ სარინს ვხვდება.

პრესკონფერენციაზე ბორისმა ისიც განაწილა უუნაროსებებს, რომ ავეს-ტომი მისი მეუღლე, ბარბარა, მეორე სეტი იგოვებდა, მანამ კი ერთხელაც ცდის ბედს თავის საყვარელ ტურნირზე: „გერმანია, რომ უიმბლდონზე ერთხელაც ძალიან თამაში, რომ ჩემი კარიერა იქ დაგასრულო, სადაც დავიწყე მოსამზადებლად რამდენიმე პატარა პირველობაზე მივიღებ მონაწილეობას და შევეცდები, სტაბილურად ვივარჯიშო“.

კიდევ ერთ ვეტერანს, მარკ ვუდფორდს ბადის მეორე მხარეს ვახვდის, ის არ შეიძლება, დაჟა ვიუს (უკვე ნანახის) შეგონება არ გასჩინოდა — ზედინედ მესამე ტურნირზე თავისთვის ზედინედ მესამე მატჩში იგი თანაქალაქელ ლეიტონ მიუსს გადაეყვანა და ზედინედ მესამე მატჩზეც იქნება.

18 წლის ადელაიდელმა თავისი ბავშვობის კერას და დამფინანსებელს მადლი ისევ ქვის ჩარტყმით გადაუხადა — სკოტსდეილში 6:2, 6:2 და ინდიან უელსში 4:6, 6:2, 6:4 გამარჯვებას ამჯერად კი ბისკინური 6:2, 6:1 მიემატა. „ეს ორივესთვის იმდენად ცუდია იყო. თანამემამულესთან თამაში, მით უმეტეს, პირველ წრეში, ყოველთვის უსიამოვნოა. მაგრამ რას იზამ, ჩოგბურთი ინდივიდუალური სპორტია, მნიშვნელობა არა აქვს, ვის ვხვდები, ყოველთვის 100 პროცენტით უნდა დაიხარჯო“.

პირველი წრე: **სუმან ანტონიო მარინი** (კოსტა რიკა) — მიკელ ჩანგი (აშშ) 7:6 (7:3), 7:6 (9:7); **პრინსტინ რუშდი** (ნორვეგია) — პეტერ კორდა (ჩეხეთი) 6:2, 7:6 (8:6); **ჰან-მაიმლ მემბილი** (აშშ) — ქსავი მალისი (ბელგია) 7:5, 6:2; **მანუს ნორმანი** (შვედეთი) — ჰიშამ არაბი (მაროკო) 6:1, 6:4; **სანდო რლსანი** (დანია) — როჯერ ფედერი (შვეიცარია) 7:5, 7:6 (7:4); **მონს სპილბა** (აშშ) — ფრანკო სკოლარი (არგენტინა) 6:3, 6:2; **ბობ ბრაბინი** (აშშ) — სარგის სარგისანი (სომხეთი) 6:1, 6:1.

32 განთავსებული პირველი წრიდან ქალებს შორისაც გათავისუფლებული იყო; ამიტომ საინტერესო მატჩების სიმრავლით ვერც იტყვი დაიკვირებინა. აღსანიშნავი აქ ის მოხდა, რომ თავის წაგებებს დაჩვენული თანამემამულეები გადაწყვიტა უნდერკინდმა ჯენიფერ კაპრიატიმ გააკვირვა და 18 წლის ხორვატი სილვია ტალაია გააბითურა 6:4, 6:3; „იოლად დანებება არასოდეს მჩვეოდა. ადრე სწორედ მეტოქის ხასიათით გამოვიჩინე და უამრავი წაგების მიუხედავად, ჩოგბურთისთვის თავის დანებებას ახლაც არ ვაპირებ. ეს სპორტი ფეხის ადგილიდან შევისისხლბორცე და უზომოდაც მიყვარს“.

ახლა მეორე წრეში ჯენიფერს უძიძი მისი გამოცდა ელის ძველი მეტოქის, შტეფი გრაფის სახით: „შტეფის უდიდეს პატივს ვცემ. იგი მხოლოდ აფრთხილების დირსია. ის ყველა ჩოგბურთისგან განსხვავდება და ნამდვილი ჩემპიონის განსახიერებაა. შევეცდები, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიო“. თავად შტეფი კი ამ დღეებში უსაქმოდ სულაც არ დარჩენილა — ხუთმამათს ანდრე ავასისთან ერთად ცნობილი ჩოგბურთელების ხილვის იმედით თავმოყრილ 700-ზე მეტს მან მშენებელი სანახაობა აჩუქა.

ხოტორა ამერიკელი სავარჯიშოდ ნაქირავებ კორტზე ცოტა ადრე გამოცხადდა და რაკეც იქ მოთამაშე გრაფს შეუსწრო, დიდ გერმანელს ერთად თამაში შესთავაზა.

ლიბტონის ტიტულებით დახუნძლულმა ვარსკვლავებმა (5 გრაფს, 3 ავასის) დაახლოებით ერთი საათი ნახევრად სერიოზულ პაექრობაში გაატარეს და მასურებლებთან ერთად ერთმანეთში მომუსაიფე თავიანთი მწვერულებზეც ასოამოვნეს. ბოლოს კი, როდესაც ავასის მეორე მოწოდებას შტეფი აუღებელი ფორტუნით უპასუხა, ამერიკელის მოძობილმა ბრედ ჯილბერტმა ვერ მოითმინა და ხმაძალა შესძახა, რა იქნება, ასე დარტყმა ჩემმა მოწაფეებმა იცოდესო.

პირველი წრე: **მირიანა ლუჩინი** (ხორვატია) — მიელენ ტიუ (აშშ) 3:6, 6:1, 6:4; **მარინა დე შპარდტი** (სამხრეთ აფრიკა) — ოლეგა ბარბანშიკოვა (ბელარუსი) 6:2, 6:3.

ანტონდო სპანიძე



ჯიმ უნიონგი

სამედი ჩახედულმა ხალხმა დიდებულად უწყოდა, 17-18 მარტს ლონდონში გასამართ სოკის საგანგებო სესიას არც თავად სოკისა და არც სრულიად მსოფლიოს ოლიმპიზმისთვის ზეირიანი რომ არაფერი მოჰყვებოდა. ისე თქვენ ყველაფერი კარგად იმეორებოთ, როგორც ამ ხალხის მოლოდინი გამართლდა. სოკ-მა და მისმა ბებერმა ბაბუმ თავიანთი ორდინანი გატყვევებული ფაფურით, განათლებულ მილიუს კიდევ ერთხელ დაანახეს, რომ მათი კანტორის საშუალო ასაკი, ჯივარი და პოტენცია უკვე ბარე სამი თაობით გადასცილდა ძირითადი რეფორმებისთვის აუცილებელ

ანგლოსამსო გაფიოზები შავებს და ყვითლებს «ტისაჰენ»

ნათელ გონებას, ჭაბუკურ წვივებსა და ოლიმპიურ სიალაღეს. რაღა ბეერი გავაშესავლოთ, მსოფლიოს სპორტულ და არა მარტო სპორტულ საზოგადოებრიობაზე სოკის აწ განსვენებულმა სესიამ ფრად დამორუნველი შთაბეჭდილება დატოვა. და, აბა, რომელი ერთი მოსაზრება შემოგთავაზოთ?

იქნებ ეს, ავსტრიულ „კურიერს“ რომ ეკუთვნის: „მსოფლიოს ერთი ყველაზე ძლევაბოსილი ორგანიზაცია დამპალი სინდიკატის დონემდე დაქვეითდა“. ან იქნებ ეს, ბელგიურ ფრანგულენოვან „ლე სუარში“ რომ სწერია: „ასაკოვან პაპათა კლუბმა, რომელსაც კეთილ ხალხში სოკ-საც უწოდებენ, საბოლოოდ ამოწურა მისთვის სასიცოცხლოდ გამოყოფილი დრო“.

ან იქნებ ფრანგული „ლეკაპის“ აზრი განიტყვებს: „ამ დღეებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სოკ-ის ვემს ისევე ეპარება წყალი, როგორც სკლეროზით შეპყრობილ ბერიკაცს და, რომ ეს მანამდე გავრცელდება, სანამ მას ჯადოსნურ რემედი არ აპანავებენ“. ანაც იქნებ ლონდონური „დეილი ტელეგრაფის“ მოხმება გირჩევნიათ: „სოკ-ის მცდელობა, თავის შებერილ-შეპერებულ მეცვლემ დაგროვილი ქარი გამოეღებნა, უსუსური უშედეგობით დასრულდა“.

„დეილის“ მეხვეტეს, სხვათა შორის, ისიც აინტერესებს, თუ როგორ აპირებს სამარანჩი მისი ავტორიტული მმართველობის დემოკრატიულში გადაზრდას. მისი აზრით რა-რა ამგვარ ტრანსფორმაციას მისდამი ნდობა-არნდობის საკითხზე ჩატარებული ტაკიმასხრული კენჭისყრა ვერაფრით დაეხმარება.

„თქვენ გეონიათ, რომ ბეერი სოკული გაბედავდა მის წინააღმდეგ წასვლას?“ — კითხულობს „ლე სუარი“ — კი მაგრამ, ეს ხომ ის ხალხია, ვისაც პაპა ზუანიტო მთელი ამ ხნის განმავლობაში აჭმევდა, ასმევდა და საფენებს უცვლიდა... მათ მიერ სამარანჩის მოხსნა იმ ტოტის მოჭრას დაემსგავსებოდა, სოკ-ის მთელი კანტორა რომ არხეინად ჩამოგდარა და ბაირამობს“.

„ივეც ან იყოს“ — საუბარში იტალიური „გაბეტა დელო სპორტი“ ერთება — „სამარანჩის მხოლოდ ერთადერთი მოცილე ჰყავდა — ქაოსი, რომელიც კომიტეტის მისი გადაყენების თანავე დაუფულებოდა“. ისე კი, დიდი ალტაცება სესის არც სხვა გადაწყვეტილებებს გამოუწვევია. ასე მაგალითად, გაურკვეველი დარჩა, რატომ დააკვირეს მხოლოდ ყვითელ ბარათებს ისეთი მსუფე ღლაგება, სამხრეთკორეელი კიმ უნიონგი და ავსტრალიელი ფილ კოულზი რომ არიან;

და ეს მაშინ, როცა გაგდებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მესამე სამყაროს ანუ დარბი აზია-აფრიკალათინურ ამერიკას წარმოადგენენ. კიმ უნიონგი, რომელიც თვლის, რომ არაფერი დაუმავებია, თავის თავს გაგდებული შორის მოიხსენიებს და სოკის გადაწყვეტილებებშიც „ანგლოსაქსონური მაფიის ხელს“ ლანდავს: „დი-აბ, ვე ყველაფერი სამარანჩისადმი ოპოზიციურად განწყობილ ანგლოსაქსონთა არაკაცობის ბრალია. სწორედ მათ პრესაში მიმდინარებდა ჩვენი განმაქიებელი კამპანია, სწორედ მათ აიბუღეს პრეზიდენტს, მისი და ოლიმპიური მოძრაობის ერთგული მოხელეების წინააღმდეგ გამოსულიყო. სხვათა შორის, მეც მათი მსხვერპლი ვახვდებით, თუკი ამჯერად მხოლოდ გაფრთხილება მაქმარეს, ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უფრო არა ჩამიდინა რა და ვერც ვერაფერი დამიბტკიცეს“.

უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ქალაქ-მასპინძელთა შესარჩევმა ახალმა სისტემამაც, რომლის ძალითაც კანდიდატთა თავდაპირველ სიას ჯერ 16-კაციანი ელიტური რაზმი ჩააარსავს ორასამდე, მეორე კი ამ ორიდან უდირსულესს უკვე მთელი კანტორა აარჩევს. ამასთან, სოკელთა კანდიდატ ქალაქებში ჩასვლა აეკრძალებათ. ეს ყველაფერი რომ რეფორმირების ბი-

თური იმბტაცია და მექრთამეობას ხელს ვერაფრით შეუშლის, ამაზე არავინ დაობს — შესაკრებთა გადასაცვლებით ჯამი ხომ არასოდეს იცვლება, ხოლო კანდიდატუნახავი სოკელები როგორ ობიექტურ გადაწყვეტილება-საც მიიღებენ, ვე მხოლოდ ოლიმპიულმა ღმერთებმა იცინა.

რასაკვირველია, მთელი ამ მოჩვენებითობით ნაამები არც ამერიკელი კონგრესმენები დარჩენილან, რომელთა კომიტეტის კომიტეტიც სოკელ ლეიკის სკანდალის გამო 14 აპრილს შიდაამერიკული მოსმენების დაწყებას გეგმავს და ამჟამად ჩვენთვის კარგად ცნობილ ნაგავში კიდევ უფრო ღირვრად იქექება.

„სოკ-ის ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს თავის ჩაბნობურებულ ქიხში მიმდინარე მოვლენების გამოსაშკარავებას. ჩვენ ვერ დავინახეთ თვით სურვილიც კი რაიმე სერიოზული ცვლილებების... ასეთ ვითარებაში კი, აბა, რა ვითხრათ, რით გავახაროთ?“ — უკითხავს აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარეს ჯონ მაკკენის.

და მართალია, დღეს მსოფლიოში ეგებ ბევრმაც იცოდეს, თუ რას შეუძლია ოლიმპიური სამძოს ვახარება, მაგრამ რაქმეს ჯერ ისეთი სამარანჩი უჩანს, რომ, ისევე ის აჯობებს, ყველამ თავის ვახარებაზე იზრუნოს!





მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საბრძოლო ფორმები

თუბცლი დცდაბეთბეთც

მამ რა, რომ ქვემდამე წონისა ვამბობთ? ვახსენით სახელი დაუფიწყარი არჩი მურისა და გაურკვეველიც არაფერი იქნება. ამ ბრძოლას, ათწლეულის შეხლას უწოდებდნენ. სხვანაირად, „მონრეალურ შუხურს“.

გამომავალი ამ ბრძოლისა იმდენად ძლიერი იყო, რომ შარშან მისი ორმოცი წლისთავიც კი აღინიშნა: „ბრძოლის ორი მონაწილე, ორი მოხუცი კაცი მონრეალის „ფორუმში“ მოვიდა და ნოსტალგია გამოადვიდა.

ერთი ამათვანი არჩი მური იყო, მეორე კი მონრეალელი ივონ ღურელი, კანადელი ფრანგი, არცთუ ბევრით შემორჩენილი კრივის ისტორიაში (თუ არა ეს ბრძოლა).

ეს იყო 1958 წლის 10 დეკემბერს, მონრეალის „ფორუმში“.

მერე ვო ლუისმა თქვა: „ეს არის უდიდესი ბრძოლა იმით შორის, რაც კი მინახავს“.

ქვემდამე წონის მრავალწლოვანი მეუფე არჩი მური — თავისი საიდუმლო დიეტით, სპარტანული ყოფით, რატომღაც პოლინეზიური იერით და სრულიად განსაკუთრებული აურით, რომელმაც დღევანდლამდეც კი მოატანა.


კანადის და ბრიტანეთის იმპერიის ჩემპიონი, ივონ ღურელი — ქუჩის შუხურიცა, რომლის გარჯიშის ერთადერთი ხერხი ყინულიან წყალში დგომა და კიბორჩხალების ჭერა იყო. მშობლიურ სოფელ ბეი სტეში, ნიუ ბრანვიკში მას ბადალი არ ჰყავდა კიბორჩხალების ჭერაში.

„სპორტს ილუსტრეტიდი“ შენიშნავდა: „როდესაც ის ჰუკს იქნევს, გვერდებთან ანკის ის ვერისო. უფრო მეთევზეა, ვიდრე მოკრივე“.

აქადურ-ფრანგული იერის ღურელი დიდი მსმელი ვინმე გახლდათ. მიმწველოვანი ბრძოლების წინ ის განსაკუთრებული მონდომებით გამოთვრებოდა ხოლმე და ფეხებზე ეკიდა საკრივო ეტიკეტი. რომ გაუჭირდებოდა, იდაყვსაც კრავდა მეტოქეს და მოჭიდავსავითაც შემოაჭლობდა ხოლმე ხელებს. კრივზე მწერლები ისპანახით მოლონიერებულ რამ პოპეის ადარებდნენ, განთქმული ნახატი ფილმების გმირს. კანადელთათვის კი ის „მებრძოლი ფრანგი“ იყო, ათასების კერაბი.

მათი სრული განსხვავების მიუხედავად ღურელი და მური კარგი მეგობრები გამოდგნენ. ამ დაუფიწყარმა ჩხუბმა მოულოდნელად დაახლოვა ისინი.

„მე მიყვარს ივონ ღურელი, ეს დიდი ბავშვი, სასაცილო თოჯინა“, ხშირად ამბობდა არჩი მური, რომლის სიკვდილამდე გაისმოდა არაჩვეულებრივი ჯენტლმენური ინტონაცია „აგე, რამდენი წელიწადი გავიდა ჩვენი დიდი ბრძოლიდან და მიხარია, რომ ივონი ჯანმრთელი და ღირსეული ადამიანია“.



ასე მოუთავა ხელი მურმა „ვისკის ჩემპიონს“

ჯანმრთელობისა კი რა მოგახსენოთ — დღეს ღურელი პოპეის კი არა, სამარის კართან მდგომ კაცს ჰგავს.

„მე ხშირად ვფიქრობ არჩის გამო“, ამბობს ის „ის ნამდვილი რაინდი იყო, ჩვენ პატვის ვცემდით ერთმანეთს“.

მური ოთხმოცდახუთი წლისა „ფორუმის“ მონახულებიდან ორიოდ თვეში გარდაიცვალა, მაშინ კი ორმოცდაათისა იყო. ხუმრობდნენ კიდევ, არჩი მურს დაავიწყდა რინგიდან წასვლა.

„თუკი ვინმეს ახსოვს ის ბრძოლა, პირველ რიგში მე მახსოვს, ისე გამოვედი საკრივოდ, რომ ვფიქრობდი, ჩემი წონის საუკეთესო მე-ბრძოლს ვხვდები-მეთქი. მე ჩემ ღირსებაზე ვფიქრობდი და კიდევ კრივის ღირსებაზე. კრივი ჩემი ცხოვრების მთავარი სიამოვნება იყო“.

სიამოვნება სიამოვნებად, მაგრამ ამ ბრძოლის სრულფასოვანი აღწერა შეუძლებელია.

თუმცა, რახან სიტყვები მოვარგოვით, ამ საქმეს ვერ ავცდებით. ბრძოლის პირველივე წამებიდან მურმა ჩვეულ სტილში შეუტია ღურელს: აქედენ და იქი-

გონება იხსნა მური საბოლოო განადგურებისა-გან.

„მეგონა, რომ ამ ჯველმა თავი გამიტეხა. ვფიქრობდი, როგორმე უნდა ამოვისუნთქო და თავი დავიცვა-მეთქი.“

თავს ვუვლებოდი: ჩემი საქმე წასულია, მოკვლას მიპირებს. მაგრამ სირცხვილია, არჩი მური ასე მოკვდეს. შევაკვდები ამ ზღვისპირულ ჯვეჯვეს. სწორად ასე ვფიქრობდი — შევაკვდები“.

ღურელს კი თავი ამაყად ეჭირა. რა, არ იყო საამაყო?

მაგრამ დაიწყო მეორე რაუნდი და აი, საკვირველება. ღურელმა დაცვით დაიჭირა.

კანადელს ერთი მენეჯერი ჰყავდა, საბაყლო მაღაზიის პატრონი, ვინმე კრის შაბანი. ამ შაბანს კრივის დიდი ტაქტიკოსად მოჰქონდა თავი და ივონს ურჩია, ფრთხილად იყავით. ხსენებულ შაბანი დარწმუნებული იყო, რომ მური ბრწინვალე ფორმაშია და თავს ინახავს, რათა უემსაკო ღურელი თავის რომელიმე ფანდზე წამოავოს. ამ დროს კი მური ლამის განადგურებული იყო.

მონრეალური შუხური არჩი მურის დაუვიწყარი მოგონება



ასე დაიწყო მონრეალური შუხური

დან დასცხო და თამაშ-თამაშით დაუპირა დაბნევა. „მიდი ჩემს, მიდი ბებრო“, — სხვა შეძახილი არც მოაფიქრებოდა კაცს, მაგრამ ბრძოლა მონრეალში მიმდინარეობდა, კანადელები კი ღურელს ერთგულობდნენ.

პირველი რაუნდის პირველი წუთი არ მიწურულიყო, რომ კანადელმა საშინელი ძალის მარჯვენა ჰუკი დასცხო მურს ფერდში. მთელი ზღვისპირა კანადა, ყველა ქალაქი და სოფელი, ბარი და დუქანი აბობოქრდა. მთელს ზღვისპირა კანადას ღრიალის ტალღამ გადაურბინა. დადგენილი ამბავია — ბებებმაც კი აუწიეს რადიოს.

„არ ყოფილა დამრტყმელი, რომ არ შეგვედროდი“, იხსენებდა მური „არ ყოფილა ღირებული კაცი კრივში წინ რომ არ დავდგომოდი. ყველასთვის დამრტყამს და ყველასი მომხვედრია. ბევრი ამიტანია, მაგრამ ღურელის ეს ჰუკი... ო, ჰო, ჰო, ჰო — ეს რაღაც საშინელი იყო. ფეხი ვერ შევიძარგე და ავეირავდი. კიდევ კარგი თავში არ იყო. თავით მხოლოდ ფიცარნავს დავეხეთქე ვაგიდვარ და ვფიქრობ: „ვაჰმე, ბიჭს დარტყმა სცოდნია“ მერე წამოვდექი“.

ფავორიტად მური იყო. ფსონი, 3/1-ზე. პირველი რაუნდი კი უკვე ღურელს მოეგო.

„ყოველთვის ვაგებდი პირველ რაუნდს“ გვიხსნის მური „მე ვიცოდი, რომ ისეთ ბიჭს, როგორც არჩი მური, პირველ რაუნდში ვერ გადაუვლი. ამიტომ ყოველთვის ფრთხილად ვირჯებოდი. ღურელთან ბრძოლისასაც ჩვეულ ტაქტიკას მივმართე, მაგრამ კლდესავით იდგა. ვერ დავარტყი“.

რაუნდის ბოლომდე „მებრძოლმა ფრანგმა“ კიდევ ერთხელ ჩააჩოქა ჩემპიონი, შემდეგ კიდევ ერთხელ. საუცხოოდ იქნევა მუშტებს — მარჯვენა-მარცხენა, მარცხენა-მარჯვენა. მხოლოდ

„მეგ მელაკულა კაცია, გასულელებს“, ასე უთქვამს შაბანს და იმის ნაცვლად, რომ ღურელს თავზეხელალებით შეეჭია და საქმე მოეთავრებინა, სიფრთხილე აირჩია. ცუდი ის მოხდა, რომ თავდაცვამ უფრო დალაღა, ვიდრე შტეტვამ, ჭკვიანმა არჩიმ კი დაატყო რომ რაღაც სხვაგვარად ზღება და თავისი კლასი აამუშავა.

ამგვარ ვითარებაში, თხუთმეტრაუნდიანი ბრძოლა მისი მოკავშირე იყო და არა ღურელისა. არჩის გრძელი გზის გავლა კარგახნის ნასწავლი ჰქონდა, ლამის ნახევარი საუკუნისა.

მესამე და მეოთხე რაუნდები უფრო მშვიდობიანი გამოდგა. მეხუთეში კი კანადელმა თითქოს გამოიღვიძა და ნამდვილი ხიფათი შექმნა. მან კიდევ ერთხელ დააბარბაცა ჩემპიონი და ატორტმანებული მური გონება იხსნა.

„მეხუთეშიც იმავე ძალის დარტყმით მაგემა ნოკდაუნს, როგორითაც პირველში“, ეს სიმწარე ახლაც ახსოვს მურს „მაგრამ ამ ჯერზე უკვე გახურებული ვიყავი და უკეთ გადავიტანე მერე შესვენება იყო. მე ჭკვიანი მწვრთნელი მყავდა“.

როდესაც არჩი თავის კუთხეში მილასლასდა და სკამზე ჩამოჯდა, მწვრთნელი წინ დაუდგა და უთხრა:

„წამოდექი, არჩი“.

და არჩი წამოდგა. მწვრთნელის მხარსუკან, თავის კუთხეში მჯდომ ღურელს უყურებდა.

„არჩი, ხელავ შენს ცოლს“? ჰკითხა მწვრთნელმა.

„ვერა“.

„არა აქვს მნიშვნელობა. გაიცინე“.

და არჩიმ გაიცინა.

„ახლა ხელი დაუქნიე შენს ცოლს“.

„ვერ ვხელავ ჩემს ცოლს“.

„აწი ხელი, გაიცინე და დაუქნიე“.

და არჩიმ დაუქნია.



ძველი დროის ჩემპიონი ჯეკ შარკი ღურელსა და მურს წარუდგენს მედიის

მერედა გაირკვა: მისი მური პირველ რიგში ივდა, ღურელის კუთხის უკან. ასე რომ, გამოვიდა, თითქოს არჩი პრეტენდენტი მისეაღმა.

ახლა კი თავად კიბორჩხალების მოყვარულის ნათქვამი:

„როცა შენ ეჩხუბები ივონ ღურელს, მისალმების დრო და ხალისი არა გაქვს. მან კი ხელი დამიჭია. ამან ძალიან გამაღიზიანა და შემამოთია“.

საკვირველი იყო, მური თითქოს სელახლა იშვა მეექვსე რაუნდში, ჯანი და ჭკუა დაუბრუნდა. უფრო ახალგაზრდა მთაკაცს კი დაღლა და უხასიათობა დაეტყო. მისი „ვისკის მეთოდით“ გარჯიშმა თავი იჩინა.

მეთე რაუნდში აქადურ-ფრანგული იერის მოქიფეს საამაყო აღარაფერი ჰქონდა. მურმა მისი ცხვირბირი და ღირსება ერთდროულად წაახდინა.

მეთერთმეტე რაუნდში დასისხლიანებული ღურელი უკვე ბარბაცებდა. წაქცეული ძლივს წამოიმართა და... მაინც ნოკაუტი. მისი ოცნება დამთავრებული იყო. მორჩა და გათავდა.

„რაც მეტი დრო გადიოდა“, გვამცნობს მური, „მით უკეთ ვგრძნობდი თავს. ბრძოლა რომ დასრულდა, უკვე ვიცოდი — ჩვენ დიდი ჩხუბი გამოგვივიდა. არასოდეს მომწყინებდა ამ ჩხუბის ცქერა“.

ღურელი კი გამწარებული იყო: „ყველა ის დაწვევლილი დარტყმა მახსოვს. ჩანაწერისთვის არასოდეს მიფურები. მრავალი საჩემპიონო ბრძოლა დავიწყებული, მაგრამ არა ეს. მე მინდოდა, ჩემი ქვეყნისთვის მეჩუქებინა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული“.

ასე გასრულდა „მონრეალური შუხურად“ მონათლული ორთაბრძოლა.

რა გასაკვირია და ღურელმა რემატჩი მოითხოვა. რა გასაკვირია და მური დათანხმდა. მომდევნო წელიწადს ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ბრძოლა ბევრს არავის ახსოვს. ისინი ძველი მეგობრებით გავიდნენ რინგზე არჩიმ მესამე რაუნდში მოუვო ნოკაუტით. მაგრამ ისინი მართლაც ძველი მეგობრებით ირჯებოდნენ, ბრძოლა ფორმალურ შეხვედრას უფრო ჰგავდა.

„ივონ ღურელი ის მოკრივე იყო, რომელმაც ჩემი სახელი უკვდავყო“, სწამდა არჩის, „ის დიდი მებრძოლი იყო, უყვარდა და შეეძლო ბრძოლა. ბოლომდე მებრძოლად დარჩა. როკი მარჩიანომ თავისი საშინელი კომბინაციით დამაგლო, მან კი ამას ერთი დარტყმით მიადწია. ამიტომ ვამბობ, მას როკიზე ძლიერი დარტყმა ჰქონდა, მაგრამ გარჯიში არ უყვარდა და უბრალოდ, მოკრივედ იყო დაბადებული“.

... ისინი მოხუცები იყვნენ და მუშტების ნაცვლად, მოგონებებს უცვლდნენ ერთმანეთს. „მონრეალური შუხური“ მათი დამეგობრების დამეგამოღვა.



პირველ რაუნდში ღურელმა სამჯერ წააქცია მური

გეასალია პანდელას ვიჭი გასულას

ბათუმში, მოკრევეთა სრულიად საქართველოს ფინალურ ტურნირზე გუშინ ნახევარფინალური ბრძოლები გაიმართა. მძიმე წონაში კი სულაც ჩემპიონი გამოვლინდა, ეს ტიტული ქუთაისელმა ბოლქვაძემ ბორჯომელი გოგოლაძის დამარცხებით ირგუნა.

ეს ტურნირი უპირველესად იმით იპყრობს ყურადღებას, რომ ბათუმის რინგზე გამარჯვებულნი ადვილს დაიმკვიდრებენ საქართველოს ნაკრებში და შემდეგ თავის გამორჩენის საშუალება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მიეცემათ. ცხადია, გამარჯვება ყველას სწყურია და ამიტომაც ბათუმში მართლაც ფიცხელი ჩხუბები გაიმართა. თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით არც ერთ ფავორიტს არ წაუფორხილებია და ყველამ ნახევარფინალისკენ გაიკაფა გზა. გამორჩეულად კი ყურადღების ცენტრში ფოთელი პაატა გეასალია იყო, თუ რატომ, ამაზე არაერთხელ გვითქვამს და ახლა ამაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. გეასალიას პირველ წრეში მეტოქე არ გამოუცხადდა და ისე გავიდა მეოთხედფინალში. აქ მისი მეტოქე ახალციხელი მოკრევე გახლდათ. პაატამ იოლად

დასძლია გამოუცდელი მეტოქის წინააღმდეგობა და ნახევარფინალში გიორგი კანდელაკის შეგირდს, გორელ ვარდოშვილს გადაეყარა. კი გვიტონრა ამას წინათ გეასალიამ, ჩვეულ ფორმაში არ ვარო, მაგრამ, ეტყობა, ესეც საკმარისი აღმოჩნდა გორელის დასამარცხებლად. ერთი სიტყვით, კარგა ხნის მერე ფოთელი მოკრევე კვლავ იჩნებებს საქართველოს პირველობის ფინალში და ალბათ იქაც არ გაუჭირდება გამარჯვება, გადაწყვეტ შეხვედრაში კი მისი მეტოქე ჭიათურელი ქავთარაძე იქნება.

ახლა დანარჩენებზე ვთქვათ. რამაზ გაზაშვილი (54 კგ), კობა გოგოლაძისა და გიორგი კანდელაკის პროფესიონალებში გადაბარების მერე, პაატა გეასალიასთან ერთად ოლიმპიური ლიციენზიის მოპოვების კანდიდატად ითვლება და ბათუმში თავს ხომ არ შეირცხვენდა. ასეც მოხდა. გაზაშვილმა ყველა შეხვედრა იოლად მოიგო და ფინალში გავიდა.

ნაკრების სხვა წევრებმაც აჩვენეს თავის მუშტის ძალა: ფოთელმა დავით ხურცილაძემ (57 კგ) გონა რუსიამ (60 კგ), ვლადიმერ ჭანტურამ (91 კგ) არაფერი დათმეს და დღეს ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ.

დისკვალიფიკაციის მერე რინგს დაუბრუნდა ჭიათურელი ბესიკ ვარძელაშვილი (67 კგ). ეტყობა, მას გაცდინილი დრო უქმად არ დაუკარგავს და ამ ტურნირისთვის ჩინებულად მომზადებულია. ბესიკ ფინალისტი და ალბათ, ნაკრებში მას დაბრუნებასაც წინ ვერაფერი დაუდგება.

სოსო კობორეძის

ყველაფერი ფოტოგრაფების ბრალი ყოფილა



გაქნილი დონ კინგი ვერაფერში გამოიჭირეს

გუშინ ნიუ ორკის სენატის კომიტეტმა „ლუის-პოლიფილდის საქმის“ მოსმენა დაიწყო. კომიტეტს ჩამოწერილი აქვს ოცი პუნქტი, რომელთაც ასე თუ ისე, პასუხი უნდა გასცეს და ან გააქარწყლოს, ანაც დადასტუროს ეჭვები ქულების დამთვლელ მსაჯთა მისიფიკაციის გამო. კომიტეტმა დაკითხა პრომოუტერი დონ კინგი, მაგრამ ვერაფერს გამოიჩინა ამ კაცს. კომიტეტის თავმჯდომარე სენატორი როი გუდმანი პირადად ეკითხებოდა კინგს, თუმცა, გაქნილი ვერაგი კაცი ვერაფერში გამოიჭირა. მეტოქე კინგს თავი თამამად და ქედმაღლურადაც კი ეჭირა. ინებისმიერ სხვა პრომოუტერს რომ მოუწყო ეს ბრძოლა, აცხადებდა კინგი, არც გამოიძიება დაიწყებოდა და კომიტეტს არ შეიყრებოდა ხალხის დასაკითხად, ხმაურიც არ ატყდებოდა მე მესმის თქვენი ეჭვები, მაგრამ არ შეიძლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამარალონ და საფრანგეთის ხანძარიც.“

მცა კომიტეტს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. დიდი ხნური მოძვედა დამთვლელ იუჯინია უილიამსის დაკითხვას. გუდმანმა ორთაბრძოლის კასეტა ჩაურთო ამ ნიუჯერსელ ქალბატონს, რომელმაც ბრძოლის ბოლოს პოლიფილდის სასარგებლოდ დათვალა ქულები. კომიტეტის თავმჯდომარემ, მისის უილიამსს ყურადღება მიაქცევინა მეხუთე რაუნდზე რომელშიაც ლუისმა გეარინად აბურთავა პოლიფილდი. უილიამსი ერთადერთი ადამიანია მთელს დედაშიწაზე, ეს რაუნდი რომ პოლიფილდის მოგებულად ჩათვალა. უილიამსმა განმარტა: „ტელეეკრანზე ჩანაწერის ნახვა ერთია, ცოცხალი ბრძოლა კი მეორე. მე რაც მაშინ დავიხანხე, ის ჩავინიშნე. სრულიად დამოუკიდებელი ვარ. არავის არაფერი უთხოვია. ეგ იყო, რომ ხშირად ფოტოგრაფორები ჩამომეფარებოდნენ ხოლმე და ვთხოვდი, გაიწიეთ, ვერაფერს ეხედავ-მეთქი.“ გამოიძიება გრძელდება.

ალბერტ ხახატურიანი

სელიანს რა დააბუნჯებს?

18 მარტი
ლოს ანჯელესი — ანაპიზი 2:4
0:1 0:1 2:2
0:1 მარშალი 14'24 (1); 0:2 სელიანე 31'44 (38); 0:3 კარია 47'51 (30); 1:3 ოდეტი 51'37 (16); 2:3 კურტნოლი 55'18 (4); 2:4 სელიანე 56'51 (39)

ანაპიზის ლიდერები — ტეძე სელიანე და პოლ კარია სამ მატჩში რომ უქულოდ დარჩნენ, განა საკმარისი არ იყო? ასეთ ოსტატებისთვის ხომ ეს დიდი დროა... დუმილი უნდა დარღვეულიყო და ეს „მეფეებმაც“ კარგად უწყოდნენ, მაგრამ რატომღაც ყინულზე გასვლისთანავე დაავიწყდათ. „ბიჭებს რამდენს უჭირინებდი, ამ წყვილთან ნებისმიერი შეცდომა საბედისწეროა-მეთქი“ — უხედა ლოსანჯელესელთა თავკაცი ლარი რობსონი მატჩის შემდეგ. მისი შეგირდები ერთობ გაიტაცა შეტევებმა და ჩინებულ დუეტსაც ხელფენი გაეხსნა. კარია (1+3) უფრო პლეიმიერიობას მიეძღვა, ხოლო ფინელმა მსროლელმა, რომელიც, ცხადია, ძალიან შეაფუცხუნა ოტაველი ალექსეი იაშინის გოლადროთა სიაში დაწინაურებამ, აღარ დააყოვნა, ორი გოლი გაიტანა და კონკურენტს დაწია.

მონრეალი — ნოვოპოლი 3:2
1:0 0:1 2:1
1:0 მალახოვი 14'40 (13); 1:1 ლამბერტი 30'34 (5); 1:2 იაჩმენევი 41'59 (7); 2:2 დამფუსი 46'10 (12); 3:2 სტივენსონი 51'48 (7)

იქნებ ნადრეგია ვარაუდი, რომ მონრეალის წამყვანი მოთამაშეები ძლიერ კლუბებში გადავლენ. სანამ მათ შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაა, ისინი კანადელებს პლეი ოფში გასვლის იმედს არ უკარგავენ. მაგალითად, კენსან დამფუსმა, რომელზეც ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტს ლაპარაკობენ, გადამწყვეტი შაბა შეაგლო.

კოლორადო — კაროლინა 3:2
0:1 2:0 1:1
0:1 ფრენსისი 1'18 (16); 1:1 ფუტი 29'04 (4); 2:1 ჰეიდუკი 32'14 (11); 3:1 საკიკი 42'57 (33); 3:2 კოვალენკო 50'04 (16)

კოლორადოში კარგი ახალგაზრდობა მოდის. 23 წლის კრის დრურის სულ უფრო ხშირად ასახელებენ „კოლდერ ტროფის“ პრეტენდენტად, ხოლო ჩეხი ოლიმპიური ჩემპიონი მილან ჰეიდუკი (1+1) ხშირად უერთდება გუნდის სახელმძღვანელო ლიდერების — ჯო საკიკისა (1+2) და პეტერ ფორსბერგის (2 პასი) სამუშაოს და გვარინადც ეხმარება მათ. აღსანიშნავია, რომ კოლორადოს სამი ფორვარდი აკლდა (ტეო ფლერის და ვალერი კამენსკის ადამ დემარშიც დაემატა).

სენტ ლუისი — ვინიპი 2:2
1:0 0:0 1:2 0:0
1:0 ისტვუდი 10'13 (9); 1:1 ადამსი 48'05 (16); 1:2 სტეპლტონი 51'00 (8); 2:2 დემიტრა 52'18 (32)

„წიგები ამ მსაჯზე უკეთ მცოდნია“ — ამბობდა მატჩის შემდეგ სენტლუისელთა გაბრაზებული მეკარე გრანტ ფიური. ამის მიზეზი ფინიქსელთა პირველი გოლი გახდა, როდესაც მეკარეს გრეგ ადამსი დაეჯახა და წააქცია. გაცხარებული ფიური ემოციებს აჰყვა და ამასობაში მის კარში კიდევ ერთი შაბა გავიდა. კიდევ კარგი, მასპინძლები თავიანთმა ლიდერმა, პავოლ დემიტრამ გადაარჩინა.

სამხელ ლარიანი



ნემვილის ლიდერმა სებასტიან ბორდელომ ბევრი თავსატეხი გაუჩინა მონრეალის მეკარე ჟეგ ჰეკეტს

სატურნირო ვითარება			
ადრსავალი	კონფერანცია	დასავალი	კონფერანცია
ოტავა	67 38 9 20 198:143 85	დალასი*	67 42 12 13 196:134 96
ნიუ ჯერსი	67 38 8 21 200:166 84	კოლორადო	68 35 8 25 189:169 78
კაროლინა	69 30 14 25 179:170 74	დეტროიტი	68 33 6 29 199:174 72
პიტსბურგი	67 35 10 22 207:179 80	ფინიქსი	69 33 12 24 171:166 78
ტორონტო	68 37 5 26 213:195 79	ანაპიზი	69 31 11 27 182:167 73
ფილადელფია	69 30 17 22 200:167 77	სენტ ლუისი	68 29 11 28 195:180 69
აილენდერსი	67 31 13 23 177:150 75	სან ხოსე	68 26 14 28 155:158 66
ბოსტონი	67 30 10 27 175:156 70	კალგარი	68 26 10 32 183:193 62

რენიჩერსი 68 29 9 30 189:188 67
ფლორიდა 67 25 17 25 170:177 67
მონრეალი 68 28 9 31 163:177 65
ვაშინგტონი 68 28 6 34 177:180 62
გაშინგტონი 69 19 9 41 158:206 47
აილენდერსი 67 16 5 46 142:241 37

გომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 105(33+72); ლინდროსი (ფილადელფია) 89(38+51); სელიანე 86(39+47); კარია (ორივე — ანაპიზი) 85(30+55); ფორსბერგი (კოლორადო) 82(22+60); ლეკლერი (ფილადელფია) 81(38+43); იაშინი (ოტავა) 79(39+40); საკიკი (კოლორადო) 74(33+41); დემიტრა (სენტ ლუისი) 73(32+41); მოდანო (დალასი) 73(30+43); სტრაკა (პიტსბურგი) 72(35+37); ფლერი (კოლორადო) 70(31+39); სუნდინი (ტორონტო) 68(24+44)

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციითა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. ვარსკვლავით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდი.

ლიზის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ფილადელფიის მწვერთვულ როჯერ ნეილსონს ორმატჩიანი დასვენება და ჯიბის 10000 დოლარით დაკარგვება მოუწევს. კიდევ კარგი, რომ მის მიერ მთავარი მსაჯის მიმართულებით ნასროლი ყვანჯი თანამსაჯ ლონი კამერონს ოდნავ ასცდა, თორემ ნკლ-ის ვიცე-პრეზიდენტ კოლინ კემპბელის არ იყოს, მას სხვანაირად დაეღაპრებოდნენ. ნეილსონის არყოფნაში (ეს მისთვის პირველში შემთხვევაა) გუნდს ასისტენტი მწვერთველი რამსეი გაუძღვება.

სტივ ლიუზენი ლოს ანჯელესს აღარ სჭირდება. ზაფხულში „მეფეთა“ მესვეურები დიდ იმედებს ამყარებდნენ შემტევ მცველზე (ხუმრობაა, მასთან სამწლიანი და 11,26 მილიონიანი კონტრაქტი გააფორმეს), მაგრამ დიუშენმა ვერ გაამართლა და 60 მატჩში მხოლოდ 23 (4+19) ქულის მოგროვების შემდეგ ჯერ თადარიგში გადაიყვანეს, ხოლო ხუთშაბათს სულაც „ვეივერში“ ანუ გასაყვად წარდგინდეს სიაში მოხვდა.

გერმანია
XXIII ტური
ლევერკუზენი 1:1 ვალკე
1:0 ბაილინი (36), 1:1 მულდერი (56)
ვოლფსბურგი 0:0 დორტმუნდი
მეორე გუნდის შედეგები
XXIII ტური
კოტბუსი 0:2 არმინია
0:1, 0:2 ლაბადაია (34, 36)
ულმი 1:1 ჰანოვერი
0:1 ბლანკი (56), 1:1 გორა (88)
ურდინგენი 2:3 ბარლინი
1:0, 2:0 კუშევი (2, 15), 2:1, 2:2 ფრი-
გარდი (29, 49), 2:3 მიჩევსკი (88)

საფრანგეთი
XXVII ტური
ნანტი 0:1 მონაკო
0:1 ლამუზი (60)
გასტია 1:2 ნანსი
0:1 კორეა (41), 1:1 კრუნიკოვიჩი (56),
1:2 ბასტიანი (90)

ჰოლანდია
ტვინტი 2:0 ნაიმეხენი
1:0 ვენეგორი (2), 2:0 ბოსმანი (56)
გელგია
XXVII ტური
სტანდარდი 3:0 ბრიუსე
1:0 კრუზი (29), 2:0, 3:0 მ. მანა (34, 40)

თურქეთი
XXV ტური
გალათასარი 1:1 ალანა
0:1 ალთანი (36), 1:1 შაკანი (85)

ავსტრია
XXIV ტური
ზალცბურგი 2:0 ლინცერი
1:0 კიტსბიხლერი (26), 2:0 ზაბიტც-
ერი (90)

პორტუგალია
XXVI ტური
გოავიზა 1:1 სიტუალი



ლევერკუზენი — ვალკე 1:1. ბურთისთვის იბრძვიან ლევერკუზენელი კარსტენ რამელი (მარცხნივ) და „ვალკეს“ მარცხე ვილმოტსი



ნანტი — მონაკო 0:1. მონაკოელი ჟიულის ნანტელი და დევიზო (მარჯვნივ)

ფერები და დიდი დედა



ინგლისურ ქალაქ ჩელტენ-
ნემში მიმდინარე ჯირითისა
და, იქ „მანჩესტერ იუნაიტე-
დის“ თავკაცის ალექს ფერგი-
უსონის სტუმრობის შესახებ
გუშინაც ვიწყებოდით. ბებე-
რი ფერგის განსაკუთრებული
სიმპატიამ ამ ეშხიან ბედაურს
„დაუძირავ მოკრივეს“ დაუმსა-
ხურებია... რაც შეეხება დედო-
ფლის დედას, ეს სათნო ქალბა-
ტონი ამ ზაფხულში არც მეტი
არც ნაკლები ერთი საუკუნის
მოიყრება და თავის ამ დამსა-
ხურებულ ნლებს ისეთი შესაპუ-
რი მოხდენილობით ატარებს,
რომ ბარე ბებერი ინატრებდა მის
ასაკში ყოფნას. „სანამ ცოცხა-
ლი ვარ, ჩელტენემის ოქროს
თასი მე უნდა გადავცე“ — დი-
დი დედის ამ კაპრიზს ბრიტა-
ნელები გამორჩეული სიხარუ-
ლით ასრულებენ.



REUTERS პლანცადან

ეკ, ვალერი, ვალერი...

კაცმა არ იცის, სად და
როდის გიმუხთლებს ბედი.
ჯანი, საყვარელი, ენერგო-
ბლონი... აი, ამ სეკუნდებზე ვა-
წლილ უიღბლოს, რუს მე-
ტრამპლინე ვალერი კობე-
ლევს ერთმაც, მეორემაც, სა-
ერთოდ ყველაფერმა და გა-
ნსაკუთრებით თხილამურის
სამაგრებმა გუშინ სლოვე-
ნიამში, პლანიკას ტრამპლი-
ნზე უმტყუნა. „არა, კმათ,
30 წელია ეს ტრამპლინი
არსებობს და ჩვენ ვეყოთ მუ-
რღალი არაფერი არ გვინა-
ხავს“ ასე ლაპარაკობდნენ
პლანიცელი აღსაკლები, ერ-
თი ეგაა, რომ უკანასკნელი
ინფორმაციით ვალერი ვა-
დარჩენილია და თუკი ყველა-
ფერი კარგად იქნა, ტრამპ-
ლინის რა მოვახსენოთ და
სიცოცხლეს კი უეჭველად
უნდა მოუბრუნდეს.



REUTERS ჩალტენემიდან

ის ურჩევნი სქოთლენდსა...

რომ აი ეს
პამილტონელი
მოსწავლე ბიჭი,
დედაზე, მამაზე და
კვირებიან
თანაკლასელებზე
მეტად აი, ეკ
ბურთი რომ უყვარს,
ამ გაქვავებულ
გლაზგოელს, დიად
მეგობლე დევიდ
კუპერსა სჯობდეს...
მამა! 18 მარტი.
პამილტონი.
სქოთლენდი.
შოტლანდია.
მოქანდაკე კენი
შაკეის
ნამუშევართან.



REUTERS პამილტონიდან

სარკიელი
სკორტული გაზეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამუხაბატს,
ოთხმუხაბატს, ხუთმუხაბატს,
პარასკეპს და შაბატს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოტსხვერია
დირექტორი გიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუჩიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მირაზ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე
გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაყიძე, კობა
ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზენა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვიციანი, ვანო
ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირა-
კლი თავაძე, ვაიოხ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე,
ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება ვიო ასვლე-
დიანი, გიორგი ბეკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა
კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი
კეთილაძე; სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობი-
ანი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დე-
ვაძე; სვეტა დევაძე; კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი,
ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ
ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა
ზატიაშვილი; გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი — 79,
საზოგადოებრივი ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29